



მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1699

2015 წლის 11 ნოემბერი

ქ. მცხეთა

ანა ნოზაძის სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე დაჯარიმების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის, 26-ე მუხლის და 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის; მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N4 დადგენილებით დამტკიცებული, „მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების“ 22-ე მუხლის, 2015 წლის 9 ნოემბრის №56 მითითების, 2015 წლის 9 ნოემბრის №56 შემოწმების აქტის, 2015 წლის 10 ნოემბრის №56 ოქმის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დაჯარიმდეს ანა ნოზაძე (პ/ნ 01031001585) მცხეთა, სოფ. საგურამოს ტერიტორიაზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №72.06.08.083) საცხოვრებელი სახლის მშენებლობის სანებართვო პირობების დარღვევისათვის 200 (ორასი) ლარით.
2. ანა ნოზაძემ ამ ბრძანების პირველ მუხლში მითითებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ ბრძანების ჩაბარებიდან 30 (ოცდაათ) დღეში.
3. საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: ანგარიშის ნომერი: 200122900, ბანკი: სახაზინო სამსახური. ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 300783263 და შესაბამისი გადახდის ქვითარი წარმოდგენილ იქნეს მცხეთის მუნიციპალიტეტში.
4. დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, ამ ბრძანების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, ანა ნოზაძეს დაერიცხოს საურავი დაჯარიმების შესახებ ამ ბრძანებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.
5. ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი 3 (სამი) თვის შემდეგ, ანა ნოზაძე დაჯარიმდეს დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით.
6. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში, (მის.: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი



ზურაბ აბესაძე